


6981

საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქალაქი



საქართველოს ეკლესიის
მცირეფლეთმანათლებლის

აპრილი № 7. 1916 წ.


მეგობარი

საბავშვო ჟურნალი № 7.

№ 7.

თბილისი, 1916 წ.

242



ქობის ბოსტანი...





შინაარსი:

საქართველოს
ბიბლიოთეკა

№ 7

ივ. ცხ. 09670203

I—ქრისტე აღსდგა!..—სურათი	1
II—შუქი,—ლექსი ბაბილინასი	3
III—მელიკოს კალათი,—დ. ვედრებისელისა	4
IV—მიკიტა და თომა,—ლეო იმნაძისა	10
V—საოცარი გმირი, --- (თარგმანი) მასავეთ გულადებისა	15
VI—მტრებს გაექცა,—სურათი	17
VII—გაზაფხული,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა	18
VIII—ფრთოსანი სურათები	20
X—გასართობი:—რებუსი და აღსნა	24



უ უ ძ ი



ითხარ, დედა, შითხარ-ი,
შითხარ რა არის ისაა?

—ნუ ჰკივი-მეთქი, დათა,
სძინავს აგვანში ჩხვილსა;

—შის შუქია, შის შუქი,
ფანჯარიდან შემოდის;

ვერც დაბლა ჩამოაგდებ
ვერც აიწვევს შემოდ ის...

იცშუკე და იწვალე,
მაგრამ ვერას განდები,
ვერც მოხრი, ვერც მოსტენავ,
თუნდ დაუგდო რასტები.

—შის შუქია! კარგი მამ
ვერ დავიჭერ? რათაო?!
მამ თუ ვერ დავიჭირო,
მოკვდეს ბიჭი დათაო...

ცმუკავს დათა, ტრიალვებს,
ფაცურობს, მალლა სტება,
მაგრამ შუქის დაჭერა?...
ვერა, ვერას განდება!..

ბაბილინა





მელიკოს კალათი

I



ასწავლებელი მიხეილ სუფირაშვილი შხბთს, ბზობის წინა დღეს, მოვიდა გიმნაზიდან ჩვეულებრივ სამ საათზე და გამოუცხადა შვილებს:

— აბა, მოემსადეთ, ბავშვებო, ზეგ დილით სოფელში მივდივართ; იქ გავითენოთ აღდგომა!

ბოლო დროს მიხეილი დაღონებული იყო: ძლიერ დაღაღა მასწავლებლის შრომაში.

— მიხეილ, ორი კვირით მაინც წაუდიეთ სოფელში: დღისუენე. აბა რასა გავს, არცა გაქვს მადა, არც ძილი. ჩაიხედე სარკეში, უკითელ სანთელს დამზგავსებინარ. თუ შენ არ იქნები, ერთი დღის სიცოცხლეც არ მინდა!— დაღონებული სძით ეუბნებოდა ელენე თავის ქმარს.

— ქალო, შენ ისე ამბობ, თითქოს ტანჯვა შეხალისებოდეს. სომ იცი რაშია საქმე: უსათუოდ უნდა სომეღიძეს, რომ

მანისში დაბრუნების გამოცდა მათიკოს. ორი კვირით თავი რომ დაეანებო ბავშვს—არ იქნება კარგი; აი, ეს არის შიშეზი, რომელიც მანროკლებს და თბილისში ვრჩება.

ცხადი იყო, რომ შინეილი ვერ უღალატებდა თავის მეგობრს, და ელენემ თავი დაღუნა...

დადგებოდა თუ არა განაფსული, მელიკოსს და იმის დაძმების სული და გული სოფლისკენ მიისწრაფოდა. ლოგინში რომ ჩაწებებოდა, მელიკოს ფიქრები ზაწია სოფელ სხივს დასტრიალებდა.

— ჩვენი გვერდა ახლა ამწვანებული იქნება,— ფიქრობდა ბავშვი.

— მელიკო!— შეკითხა უძცროსი ძმა, ზეტეკო:— აბა გაპოიცან— რაზე ვფიქრობ ამ წუთში?

— სოფელზე.

— მამ თბილისზე ვიფიქრო? აქ სასეირნოდ რომ წავალ და ნახევარ საათს დავიგვიანებ, დედას გული უწუნდება: ავტომობილმა სომ არ გაიტანაო? ან რა სეირნობაა? სულ იქით აქეთ ვიცქირები: მე თვითონ იმონური ავტომობილის მეძინია.

— კამფეტის როგორ დამვირდა!— ამოიხსრა ნინომ:— ასე და შოკოლადის კამფეტი ორი მანეთი ღირს გირვანქა. ჩვენ ერთი გირვანქა არ გვეყოფა: შვიდნი ვართ.

— შოკოლადი კი არა, უბრალო კამფეტის კი დამვირდა: ათ შურზე ნაკლებ არ არის გირვანქა.

— ასე ჩვენ ბაღში ხეები აუვაკებული იქნება: კაცს ეგონება, რომ ზედ ფქვილი გადააუარესო.

— ნაკადულები ჩხრიალით ჩამორბიან მთიდან!..

— თოვლი დამდნარი იქნება.

— დაძნარი იქნება, მაგრამ უთუოდ აქა-იქ თოვლის ნაფლეთები თეთრად ჩანან ამწვანებულ მთის კვერდებზე... თეთრ მოკუნტულ ბატკნებსავით ჭურჩან.

— რომ გავიხდები და გავათავებ სწავლას, სოფელში ვიცხოვრებ! ჭირივით ძეჯავრება ქალაქი!

— იცი, ნიკო!—მარდად წამოდგა ლოკინში ვახტანგი:—სოფელში უფრო დიდი ვარსკვლავებია, ვინემ აქა: სწავა-და-სწავა ფერისა...

— ოჰ, როდის წავალთ სოფელში? მამას არ სცალიან და... ამ დროს ხელა გაიღო კარები და მოისმა ელენეს ხმა:

— აბა, რა დროს ღაპარაკია? დაიძინეთ! სვალ უნდა ადრე ადგეთ!

II

შაბათს მოულოდნელი სინარული ელოდა ბავშვებს. ელენესაც იმათზე ნაკლებ არ უხაროდა.

— მიხვილ, მიაპბუ, როგორ მოხდა, რომ თავს ანებებ მათიკოს?—ღიმილით ჭკითხა ქმარს ელენემ.

— ისე მოხდა, რომ გამოცდა საშემოდგომოდ გადასდო მამამ. ისინიც სოფელში მიდიან.

— მაღლობს ღმერთს, რომ ეს ორი კვირა მანც თავისუფლად ამოისუნთქავ. მაშ, მომეცი ფული: ვიუიდი, რაც საჭიროა, და ჩავლაგდები...

დაიწყო ფუსფუსი ელენემ.

— შვილო, მეღიკო, მათსოვე შენი კალათი. მსუბუქია და შიკ ბევრი რამ ჩაუტევა.

ბავშვი შეერთა... ზასუსი ვერ გაუბედა.

- რა არის?—გაუკვირდა დედანს:—არ მამლეკე?
- მოგცემ... მაგრამ... ჩემი ბარგი სად წავიღო?
- შენ რა ბარგი გაქვს? ორი კვირით მივდივართ და... ან როდის ჩაიბარგე?—გაიცინა ელენემ.
- საზაფხულოდ...
- რა შორს გიფიქრია?
- დედა, მელიკოს რაღაცეები აქვს იმ კალათში და ჩვენ გვიძალავს,—გაეხუძრა დას ვანტანგი.
- კი არ გიძალავს... დაშცინით... ბუდამ...
- ჰანროზის კოლოფები არ დააუენა, სულ აგროვებს. ნეტავი რად უნდა?
- შენი ჭირიძე, დედა!—შესძახა ელენეს მელიკომ და გული აუკანკალდა.—ნუ გაშიჯავრდები... კერ დავცლი ჩემ კალათს.
- რაღასა ტირი. კარგი: სულ ერთია, შენ კალათში იმდენი არაფერი ჩავა, რომ შე გამოძადგეს.

III

ბზობა საღამოს მთელი სახლობა ეწვია ჩაიზე დედა სოფიოს; შინ დარჩა მარტო მელიკო. მიხურა დარაბები, აანთო ელექტრონი და ამოაღაბა თავისი კალათი. რაც მამამ სადღესასწაულოდ ფული აჩუქა, ნივთებად აქცია.

— საბრალო სოფლის ხალხი!—ფიქრობდა მელიკო:—ვის აქვს იქ ფული ამ გაჭირებაში... ვინ გაიმეტებს, რომ ან ნემსი, ან ძაფი იეიდოს, ან ხელსახოცი?..

შემოდგომიდან დაწყებული გაზაფხულამდის მელიკო აგროვებდა, რაც შეეძლო.

— წავალ, გაეახარებ ხალხს,—ფიქრობდა მელიკო.

როცა სამობოდ მოუტანა დედ-მამას მშვენიერი ნიშნები,
 უთხრეს:

— ჯილდოდ რა გინდა, შვილო, რომ გიყიდოთ?

— ოცდაათი საბავშვო წიგნი.

— დიდი სიამოვნებით.

— ჯერ ჩვენ წავიკითხავთ, მერე სოფელში წავიღებთ.

სელახლად რომ ჩააღება ეველბაფური თავის კაღათში, და-
 კეტა, სატებთან ანთო სანთელი, დაიჩოქა და ილოცა:

— ღვთიშობელო, მიცოცხლე დედ-მამა, ისინი ძამღეკენ
 შეძლებას გავასარო ჩვენი დაჩაგრული სოფლის სალხი!

სანთლის შუქზე ოდნავ ჩანდა ბავშვების ღოგინები და დაჩო-
 ქილი ცამეტი წლის ქალი.

IV

მისეილ სულარიშვილის ოჯახი ძალიან უყვარდა გლეხ-
 კაცობას სოფელ სხივში.

— ეგენი ჩვენი საყვარელი მეგობრები არიან: მეტის-მე-
 ტი მადლიანი ხალხია! — ამბობდნენ სოფლელები. — ავად განდება
 ვინმე, — ჩაი-მაქარს და წამალს შუქთად აძლევენ; სსება ათას-
 ნაირი გაჭირება როცა მოგვადგება, ეგენი არიან ჩვენი ზა-
 ტრონები.

ახლაც, ამ ბრწინვალე აღდგომის დღიას ჯგუფად მი-
 დიოდა იმათ სახლიდან ხალხი. ბავშვებს ეჭირათ სათამაშოე-
 ბი, სულ სტომით მიბრბოდნენ. დედაკაცებს ილლიაში ჰქონდათ
 ამოდებული ვეება ზაზიროსის კოლოფები.

— ჯერ ზატარაა, და როგორ ვეცოდებით.

გლეხის ქალი სოფიო აბრიალებდა სიხარულით ანთე-
 ბულ თვალებს. — ეს მშვენიერი კამეტი, კობტად განვეული

წითელ ქაღალდში ორი კოჭის ძაფი: თეთრი და შავი, ნეშე-
ბი, წითელი ხელის საწონი, კიდევ წიგნაკი.

— ზოგს, ვინც უფრო დარბია, — მიუბრუნდა სოფიოს
საბედო, — თავშელები დაურიტეს.

— დმერთო, აცოცხლე ქელიკო, გაუთენე მრავალი აღდ-
გობა მასა და იმის ოჯახს, — ამბობდა ხალხი და ნასიამოფ-
ნები ამწვანებულ მინდვრებში იფანტებოდა.

დ. ვედრებისელი.





მიკიტა და თომა



მიკიტა და თომა გურული სოფლის ჰატარა ბიჭები იყვნენ, ერთი მეორის მეზობლად ცხოვრობდნენ და ორნივე ერთ სასწავლებელში სწავლობდნენ.

თომა ეს მეორე წელიწადი იყო, რაც ჰირველ განყოფილებაში იჯდა და ახლაც ისე ზარმაცობდა, რომ მკონი მესამე წელიწადსაც იქვე აპირებდა კათავებას. ერთობ ზარმაცი ბიჭი იყო, მთელ დღეს თამაშობასა და თევზების ჭერაში აღაშებდა. გაკვეთილები ხომ არასოდეს არ იცოდა; როცა მასწავლებელი გამოუძახებდა, განხრებოდა და თანაღუნული და იყო ასე, დიდხანს, ბავშვების სიცილს ხარხარში...

მიკიტა კი მხოლოდ წელს შემოვიდა სკოლაში და ჰირველად ძლიერ კარგადაც სწავლობდა, მაგრამ შემდეგ, როცა

სხვა-და-სხვა სათამაშოებს გაეცნო, სწავლასე გული აცნობდა. ძლიერ შეუუვარდა კალმობა და თხიფსაღას *) სროლა.

კალმობას იმიტომ თამაშობდა, რომ მოკებული კალმებით თხიფსაღას ეიდულობდა.

თხიფსაღა ხის სახელი იყო; ფურტურა გული ჰქონდა, რომლიდანაც სოფლის ბიჭები „ხელ-თოფელას“ აკეთებდნენ. ეგვალ ბიჭი როდი აკეთებდა, მხოლოდ ზოგიერთებს ეძარ-ჯვებოდათ მისი კარგად გაკეთება: გამოუწმენდავდნენ ტხიფსაღას ხეს გულს, გაურჭობდნენ შივ დასველებულ ქაღალდს და როცა უკანიდან კეზს მისცემდნენ, ისეთ ხმას გამოსცემდა, რომ ნამდვილი თოფი გეგონებოდათ...

ამიტომაც ძლიერ შეუუვარდა მიკიტას თხიფსაღა და ისე დახელოვდა მის სროლაში, რომ ვერცერთი ბავშვი სკოლაში მიკიტასავით თხიფსაღას ვერ ისვრიდა.

მიკიტასთანა თხიფსაღა სხვა ბავშვს არ ჰქონდა. მიკიტა, როგორც-კი დაინახავდა კარგ თხიფსაღას, უეჭველად იუი-დდა, რაღაც უნდა დაჯდომოდა...

ერთხელ სკოლაში იაკობა ჭყონიამ მშვენიერი თხიფსაღა მოიტანა: ტარი მოკაუჭებული ჰქონდა და, ბავშვებისათვის რომ გეკითხათ, — „ბერდანასავით“ გაზარდებოდა. ეს თხიფსაღა ეგვალ ბავშვებს ძლიერ მოეწონათ. მიკიტამ სომ არც აცივა, არც აცხელა და დიდი სვეწნა-მუდარის შემდეგ იეიდა ტხიფსაღა ხუთ კალმად. მის სიხარულს სასწვარი არ ჰქონდა, რომ ასეთი კარგი ხელთოფელა შეიძინა.

მაგრამ დახუთ ცუდლურობას: მეორე დღესვე ხელთოფელა სადღაც გაქრა...

*) მცენარეა, — დიდგულსაჲ ეძახიან.

ბევრი ემია მიკიტამ და ბოლოს კაცო, რომ თხიფსალა თომას მოეზარა... სამინლად დაღონდა მიკიტა: არ იცოდა—რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. მასწავლებელს სომ ვერ გაუმსელდა ამ ქურდობას. ეს სომ კალაში, ან ფანქარი, ან მელანი არ იყო, რომ მასწავლებელს მისი დაკარგვისათვის თავი შეეწუსებინა.

თომა თხიფსალას არ იძლეოდა. თუძცა რამოდენიმეჯერ მიბეკვა მიკიტამ თომა, მაგრამ თხიფსალა მაინც ვერ გამოსტაცა...

დაღონდა ძლიერ მიკიტა და დღე მუდამ იმის ფაქრში იყო, რა მოესწვებინა თომასათვის—რა ევნო...

თებერვალი ილეოდა; დეებოდა მარტი, სოფლის გამოღვიების ხანა: გლეხები უანებისაკენ მიეჭარებოდნენ; ქალები კრუსწიწილების მოშენებას ეტანებოდნენ და არე-მიდამოს აკრიბლებდნენ, სწუმენდავდნენ, რომ ჭუჭყიანი ზამთრის ნაკავი გადაერგათ...

ერთხელ დილით, როცა მიკიტა სკოლაში წასვლას ეზირებოდა, თვალი შეასწრო, რომ დედა ძაღლა სხვენზე*) გასულყო და რაღაცას განქარებული ნაუავდა; ქვევით-კი მიკიტას უფროსი და იდგა და დრო-გამოშვებით ეკითხებოდა: „მარიაჲ, რას ნაუავ?“ დედა-კი ზვევიდან უპასუხებდა: „ტილს, რწეილს, გველის ენასო.“—მიკიტას ეს სანახავი ძლიერ გაუკვირდა, მით უფრო, რომ მის დედას „მარიაჲ“ სრულებით არ ერქვა.

როცა მიკიტას და დედას სამჯერ შეკითხა: „მარიაჲ, რას ნაუავო?“—დედა ძირს ჩამოვიდა, უხმოდ აიღო კერიდან ნი-

*) სახლის კერი.

წიით ნაცარი, თან ის რაღაც დანაუილი წაიღო და კარედ გამოვიდა. მიკიტაც, რა თქმა უნდა, დედას აუდგენს. დედა მივიდა იქვე იმ მეზობლის დობესთან, რომელთანაც წახსუბებული იყო და წარმოსთქვა:

„მარტი, მარტ-მეტი,
 უკვლა თვეებზე მეტი;
 ჩემსას რწეილი არცერთი,
 შენსას წიხით სახვეუტი“-ო.

ამ სიტყვებთან ერთად ის რაღაც დანაუილი და წიხით ნაცარი მეზობლისას ესოში გადაუარა. მიკიტას ძლიერ გაუკვირდა ეს ამბავი და როცა დედამ აუხსნა, რომ ეს არის ეოველივე მავნე მწერის, რწეილის, ჭის, ბოროტი ენის, მტრის გადალოცვაო, მიკიტას ძლიერ გაეხარდა; იმ წამსვე ასრში თომაძ და შურის მიებაძ გაურბინა. მერე დრო ჯერ კიდევ დაკარგული არ იყო: როგორც დედამ აუხსნა, ეს გადალოცვა შეიძლებოდა მხოლოდ მარტის თვეში სამჯერ: ზორველ მარტს, როცა დედამ უკვე გადაულოცა მეზობელს, სამ და ცხრა მარტს, მიკიტამ სამი მარტი არჩია, რადგან ცხრა მარტამდი ლოდინი აღარ შეეძლო: ძლიერ ეჩქარებოდა თომაძსათვის სამბავიეროს გადახდა.


სამ მარტს, როგორც საჭირო იყო, მიკიტა ადგა დილით ადრე, ჩუმად მოკრიფა ჭინჭარი, გაიტანა სსვენზე და დაიწყო ნაუვა ქვით. ქვეიდანკი მიკიტას, როგორც მოლაზარაკებული ჭქონდათ, და ვეითსებოდა. „მარიაძ, რას ნაუვაო?“ მიკიტა უპასუხებდა: „ტილს, რწეილს, კველის ენასო.“ როცა

უკვლავ ეს სამჯერ გაიმეორა. მიკიტა ძირს ჩამოვიდა, კერიდან ნიჩბით ნაცარი გამოიღო და თომას სასლისკენ აჩქარებული გასწია...


დახვთ უბედობას: თითქოს გულმა უგრძნო, თომა იქვე ღობესთან იდგა და რაღაც ხეს ეკოწიწებოდა. დანახა თუ არა მიკიტა, ნიჩბით მომავალი, თომა იმ წამსვე მიხვდა უოველივეს... ელვის სისწრაფით გადმოეშვა ღობეზე, ეტაკა მიკიტას და მისივე ნიჩბით ნაცარი შივ თვალებში შეაყარა...

„ვაიბე, დედაო!“ ერთი კი დაივირა მიკიტამ და მიწაზე გაიშლარათ. განარებული თომაკი სიცილით შინისაკენ გარბოდა...

ლევო იმნაძე.



ლ. იმნაძე.



საოცარი გმირი



ატარა წრუწუნა თაგვი ჰიზი ნელა მივიდა დედა თაგვ-
თან და უურში ჩასწურსულა:

— დედა, მე ასლა კატა შევჭამე!

მოხუცებული დედა-თაგვი უცბად ამბგბგდა, შე-
სედა თავის წრუწუნას და უთხრა:

— ჭკუასე ხომ არ შეძლილხარ, შვილო, რაებს ჰბოდავ?

წრუწუნა თაგვი ამაუად გაიძარბა წელიში და უზასუნა:

— გიპეორებ, რომ ნამდვილად შევჭამე კატა!..

ამ დროს შემოვარდა ორი აღელვებული წრუწუნა.

— გასაოცარი საქმეა, არა-ჩვეულებრივი!...— ჰევიროდნენ
ისინი.— უური გვიგდეთ,— რა გაიძბოთ.

ეველა თაგვები შეგროვდნენ წრუწუნების კარშემო.

— რა ამბავია? რა მოხდა?

— ჩვენ,— დაიწვეს წრუწუნებმა,— ვიჯექით იქ მდლდა, ოთა-
ხის კუთხეში, სავარძელთან. უცბად ბავშვის ხმა მოგვესმა. ტი-
როდა და ამბობდა:

— დედა, ჩემი ფისო დაიკარგა!..

მეორე ხმა კი უზასუნებდა:

— ალბად თაკემა შეჭამა. მე ვავიგონე, რომ აქ თაკვი
ასლოს დაცუნცულობდა.

— აი, რას ლაპარაკობდნენ ისინი ზევით...

ზიზიმ ამაყად წამოსდგა ფეხი წინ.

— ეს მე, მე შეგჭამე კატა!..— სთქვა ზიზიმ. ეველამ მი-
შით და ჰარტივისცემით დაიხია უკან და ცნობისმოკვარეობით
ათვალიერებდნენ ზიზის თავიდან ფეხებამდე...

— შერე არ შეგეშინდა?— ჰკითხა ვილაცამ აკანკალებულის
ხმით.

ზიზიმ დაცინვის კილოთი გაიღიმა და მსრები შეიმშუშნა.

— სულაც არა! რისთვის შემეშინდებოდა?..

ამ დროს ვილაცამ შორიდან დაიუვირა:

— ძეგო, აქ მოდიო. აქ, შესავალთან ნამცხვრის ნაჭერი
ვნახე!..

— უი, ეს ჩემია!— დაიძახა ზიზიმ:— ხელს ნუ ასლებთ,— ეს
კატის ფეხია!

ეველამ ერთბაშად გაიცინა:

— ხა, ხა, ხა, ხო, ხო, ხო! რა გპირი უოფილა; მამ შენ
ნამცხვრის კატა შეგეჭამია?

ნაწვეენმა ზიზიმ შესედა დამცინავ თაკეებს და სთქვა:

— თქვენ გკონიათ, რომ ის საშიში არ იყო? მაინც ის
ნამცხვარი ძლიან ჰგავდა ნამდვილ კატას.

ამ დროს ეველამ დაჰკრა ტაში და დაიუვირეს:

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს ზიზის!.. ნამდვილია! შენ ჩვენ-
ში გპირი ხარ, რომლის მსგავსი ცოტანი არიან!.. მხოლოდ
იმ კატის ფეხი ჩვენ მოგვეცა... ახლა ჩვენ იმას უშიშრად შეგ-
ჭამთ.

მასავით გულადები





პტრებს ვაჟდა

თბილისი, იმერეთი
— იმერეთის



გაზაფხულია!...



აზაფხულია...
ტოკავს გულია...
ეველგან სიაძე,
სისხარულია.

წუბრო ჩქრიბლებს,
ცრემლს აპრიბლებს...
ტორთობა გალობს
და დაფთქრიბლებს...

ვარდი იძლება,
სე ევაგიბლება;
ველს ეაეახონი
გულს ეფინება...

მწვანე მთაზედა,
მინდვრად, ბარზედა
საქონელს ვსედავთ
სამოვარზედა...

ჩვენი თამარი,
მოუსვენარი,—

იბ და ვარდის
 მტერი რომ ზრი,—

გაჟიდა კარში,
 შეიჭრა ბაღში;
 შეჭკრა კონა და...
 კვლავ შინტის სახლში...

გაზაფხულია...
 ტოკავს გულია...
 ეუელგან სიამე,
 სისარულია!...

დ. ელიოზიშვილი





ფრთოსანი ხურთაზი



ვერი სხვადასხვა ცხოველი იკეთებს ხეებში ბუდეებს. ზოგი, მაგალითად ფრინველები, მარტო ბინით სარგებლობენ, ზოგი კი (მწერები) საზრდოსაც ხეში მოულობენ. ფრინველებიცა და მწერებიც ირჩევენ უფრო ჭიისაგან დაზიანებულ ხეებს, რადგანაც ამნაირი ხეების გული უფრო რბილია და ადვილად ახერხებენ შიგ ბუდეების გამოკვეთას და საჭმლის მოგნას.



ხეკაუნა

ხეკაუნას*) ჯიშის ფრინველები ბევრივე ხეებში; მხოლოდ სამი სხვადასხვა გვარია. ხეკაუნები გამოჰკვეთენ ხოლმე ხეში გულს, იმ სიდიდეს, რამდენიც არის მათთვის საჭირო. გამოჰკვეთენ უკვე დაზიანებულ ხეში, ან სარგებლობენ უკვე მზა ფულეროთი, — გამოფხვკენ, გამოასწორებენ, აგებენ შიგ ბურბუშქვებს და ჩხირებს და სდებენ კვერცხებს. რბილად არ უყვართ ბუდის მოყვანა. ბუდე ბოთლს მიაგვს, რგვალი ძირი აქვს და ვიწრო უელი მადლა. იმ სი-

*) ხეკაუნას კოდოლასაც ვახანან.

დიდუ, რომ მხოლოდ ფრინველი გაერთიანებულა შიგ. როცა ბუდე სრულიად დაამზადებენ, დედალი ხეკაკუნა სდებს 4-6 კვერცხს და შემდეგ ორივე დედალ-მამალი გულმოდგინედ ასხედან კვერცხებს რეგრიგობით და ხსეკენ. შვილებსაც მუეაითად უვლიან. სანამ საჭიროა შვილებისთვის, ასწავლიან ხეებზე ცოცვას, ფრენას და შემდეგი იმორებენ თავიდან. ხეკაკუნები მსიარული, სასარგებლო ფრინველებია. აუარებულ მავნე ჭიებს და მწერებს ავლებენ მუსს, თუთთანაც იკვებებიან და ბარტყებსაც კვებავენ.

ფულურობში იკეთებენ ავრეთვე ბუდეებს თუთიუშები. ხანდახან თუითონ გამოჰკვეთენ ხოლმე ბუდისათვის ხის გულს, ჰკვრამ უფრო ხშირად ბუნებრივი ფულუროთი სარგებლობენ. ნიკარტი მკარი და მოკაუჭებული აქვთ, ბრწყალეები ისე აქვთ მართული, რომ ხეს ადვილად კვდიება; ამიტომ უადვილდებთ ხის გამოფულვრა, ფულუროს გადიება, ან უკვე დაზიანებული რბილი ხის ამოკვეთა მკარი ნიკარტი. თუთიუშები იკეთებენ ბუდეებს ხეებზე და კლდის ნაპრალებშიაც; აკებენ შიგ რბილ ნაფორებს და ბურბუშელას. ისინი თბილ ქვევებში ცხოვრობენ. მთელი გუნდი იკეთებს ბუდეებს ხანდახან კლდის შეფენებაზე. კლდის ზედაპირის ნაპრალებში ამოჰკვეთენ უფრო რბილ თინა-ნარვე ნაწილს და იღებენ ბინას.



თუთიუშის

ერთი მეცნიერი ვადმოგვცემს, — საუცხოო სანახავია კლდეზე თუთიუშების ჯგუფის ბინაო. უახლოვდებით კლდეს, — მოგვითხრობს ის; — სრულიად ტიტველა კლდეს. არსაიდან არ ისმის რაიმე სმა. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევს. უიქრობთ, რომ თქვენს მეტი აქ არავინ არის. მაგრამ მისვალთ თუ არა კლდესთან, უცებ უოველის მხრიდან მოგვისძიოთ რაღაც შრიადლი. იცქირებით აქეთ-იქით: არაფერი არ სმანს. უცებ ¹⁹¹¹ ~~სამხალი~~ ^{სამხალი} ~~ფერილი~~ ^{ფერილი}, და უოველის მხრიდან ^{სამხალი} ~~ფერილი~~ ^{ფერილი} და უოველის მხრიდან ^{სამხალი} ~~ფერილი~~ ^{ფერილი} გახსნდება თუთიუშების მთელი კონტაქტი; თავს ევლებიან ფერილით უცნობ სტუმარს, თითქოს უნდათ აქიდან გააძევიონ. ევება კლდის ნაპრალიდან მოსმანს მევირალი თუთიუშის თავები. ეს ის თუთიუშებია, რომლებიც კვორცხებზე სწვდებიან, ბუდიდან ამოფრენას არ ახირებენ, მაგრამ ფერილით ესმარებიან თავიანთ ამხანაგებს. ამისთანა საერთო ბინებს იკეთებენ მიუდგომელ მუდრო ადგილას, რომ ძტრები თავს არ დაესხნენ. ტუშმოკი იშვიათად ხანსდებიან ერთად, რადგანაც ამდენი დაზიანებული სე ერთ ადგილას მხელი საპოვნელია.

არის ერთი უცნაური ფრინველი, მარტო-რქა-ჩიტო-კაღაო;



მარტო-რქა. კაღაო.

სცხოვრობს თბილ ქვევებში; სეების ღრუებში იკეთებს ბუდეს; ამოსწმენდს, ამოანუფთავებს უუღუროიან სეს. დედალა-მამალი ძელიან მეკობრულად სცხოვრობენ. დედალი დადებს თუ არა კვორცხებს, მამალი ამოლესავს ბუდის ზირს მიწით, ისე რომ დედალს აღარ შეუძლია ბუდიდან ამოსვლა. მხოლოდ თავს

ამოყოფს ხილმე. მამალი უხიდავს საქმელის ჯერ მას, და როცა ბარტყები გამოიხეკებიან, — ბარტყებსაც. დედღს კვარცხებსე ჯდომის დროს სმურება ბუმბულის ნაწილი და ფრენა არ შეუძლია. როცა დაფრენის დრო შიდაწვეს, ამოღესილ მიწას ამტვრევენ და ისე ამოჭევათ ბარტყები. მამალი ამდენი შრომისა და ჯაფისაგან ძალიან მწლე და გამკვლავებულია.

6.



რეზუსი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)




კაპა-
სი
ან-უ?



კ
პ

კა-
შო-
რი.



მ
2



კა-
სის
სპ-
ვი.

კ
პ



კ
პ



მე-6 კლ-ში მოთავეებულ მარადის, ვამოყანების და რეზუსის აღსნა:

- 1) ია 2, თაგვი, კატა და ძელია ერთი ძეორის მტეწრია.

5/96

საქართველოს
ხელისუფლება

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ტურნალ

„ნაკადული“ № 1

წელიწადი მეთორმეტი

ტურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, სვანგე-
ბოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელშეძღველობით.

შუიწინალი ბამბოდის თვისი ორჯული

24 წიგნი „ნაკადულის“ 12 წიგნი „ნაკადულისა“
მეორე სლოვანთა თვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდს აქვს იქნება მოთარგმნული გა-
მოხინილ მხატვართა ნახატი.

თვისი ტურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმით
თვის. ვინც ტურნალს რედაქციაში მოიკითხავს, ვაგზავნის კი 6 მან.
ნახევარ წლით—3 მან. ვაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ წიგნს
მეორე წლიურათვის 24 წიგნი—3 მან. ვაგზავნით 3 50 კაპ.
თესილთათვის 12 წიგნი—3 მან. ვაგზავნით 3 მან. 50 კაპ.
ფულის შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ესთხოვთ ხელის მოწერას თუ ტურნალი „ნაკადული“ არ
მისდით, ერთი თვის განმავლობაში გაცემის და ადრესის გამო-
ცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ.
შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ბფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ-
ლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский
пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის
გამაერკვლევებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, სასახლის ქ.
ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ.
მჭავრიშვილთან. ფოთში — ლუდმილე მეგრელიშვილთან. ბათომ-
ში — ტროფიმ ინსარიძისთან ფოსტაში, ჭ საშსონ ყაზაიშვილთან
უპრავეში. ოზურგეთში — ლანჩხუთში — ლეო იშნაძისთან. თე-
ლავში — ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვა-
რამაძისთან. ბაქოში — მარიამ ნაკაშიძისთან. გორში — ქეთევან ჯა-
ვახ-შვილთან და ნინო ლომოურთან. ჭიათურაში — ივ. გომელაურ-
თან. ხონში — მ. ი. კავკანიძისთან. მიხაილოვოში — გოგრაგი ნაკა-
შიძისთან. ყვირილაში — ნინო ფერაძისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

